

პაპი ფრანცისკე
საერთო აუდი ნცია

წმ. პეტრეს მოედანი

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 2016 წ.

ცხადია, საქართველოში ეს საქმიანობა ხორციელდება ჩვენს მართლმადიდებელ ძმებთან თანამშრომლობით, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ამიტომაც, ძალზე ნიშანდობლივი გახლდათ ის ფაქტი, რომ თბილისში ჩასულს, აეროპორტში, ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად, ღრმადპატივცემული პატრიარქი ილია II-ც დამხვდა. იმ ნაშუადღევს, მასთან შეხვედრა ძალზე ამაღლებელი გახლათ, ისევე, როგორც მეორე დღეს საპატრიარქო ტაძარში სტუმრობა, სადაც თაყვანიცემა კვართი იესო ქრისტესი, სიმბოლო ეკლესიის ერთობისა. ამ ერთობას ძალას მატებს სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის უამრავი წამებულის სისხლი. ყველაზე მრავალჭირნახულ საკრებულოთა შორის, აქ არის ასირიულ-ქალდეური თემიც, რომელთან ერთადაც განვიცადე ამაღლებული წუთები ერთად ლოცვისა, რომლის დროსაც უფალს შევთხოვეთ მშვიდობა სირიაში, ერაყსა და ახლო აღმოსავლეთში.

საქართველოს ლათინური, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკეებთან ერთად ჩატარებული წირვა მისიათა მფარველის, ყრმა იესოს წმიდა ტერეზას ხსოვნას მიუძღვნენ. ეს წმინდანი შეგვახსენებს, რომ ჭეშმარიტი მისია პროზელიტიზმი როდია, არამედ ქრისტესადმი ღტოლვა, მასთან განუყოფელი ერთობა ლოცვაში, თაყვანისცემასა და კონკრეტულ ქველმოქმედებაში. ეს ქრისტეს მსახურებაა, ქრისტესი, რომელიც ჩვენს უმცირეს ძმათაგანში სახლობს. სწორედ ამგვარად იღწვიან ჩვენი ბერ-მონაზვნები, რომელთაც ჯერ თბილისში, შემდეგ კი ბაქოში შევხვდი. ისინი ლოცულობენ და საქველმოქმედო-განმავითარებელ საქმიანობას მისდევენ. მე გავამხნევე ისინი და მოვუწოდე კიდევ უფრო განმტკიცდნენ რწმენაში, ხსოვნაში, სიმამაცესა და იმედში. დაბოლოს, ქრისტიანული ოჯახები - რაოდენ ძვირფასია მათი მხრიდან მხარდაჭერა, თანადგომა, კეთილგონიერება და ჩართულობა საკრებულოს ცხოვრებაში!

(პაპის სიტყვა საერთო აუდიენციაზე, საქართველოში ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ, წმ. პეტრეს მოედანი, 2016 წლის 5 ოქტომბერი)